განმარტებითი ბარათი

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

თვითმმართველ ერთეულებს არსებული კანონმდებლობით არ შეუძლიათ სხვა თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე კომპაქტურად განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს დამოუკიდებლად და ოპერატიულად გაუწიონ დახმარება სოციალური თუ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია აჟარის თვითმმართველი ერთეულისათვის დროებითი უფლებამოსილების მინიჭება - სხვა თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საკუთარი ფინანსური რესურსი გამოიყენოს იმ პირთა დასახმარებლად და სოციალური თუ საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მუდმივ მაცხოვრებლებად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე და იძულებით იქნენ გადაადგილებულნი თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

აჟარის თვითმართველ ერთეულს ენიჭება დროებითი უფლებამოსილება სხვა თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საკუთარი და დელეგირებული ფინანსური რესურსი გამოიყენოს იმ პირთა დასახმარებლად და სოციალური თუ საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, რომლებიც იძულებით იქნენ გადაადგილებულნი თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი).

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მისი განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხივ ხელშეკრულებებთან.

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი ვახტანგ ბალავაძე

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი ვახტანგ ბალავაძე